




**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

კომაროვის სფინქსი



კომაროვის სფინქსი (*Rethera komarovi*, Christoph, 1885), პეპელა სფინქსების (Sphingidae) ოჯახიდან. იშვიათი, შემცირებადი სახეობაა.

კომაროვის სფინქსი

მსხვილი პეპელაა. წინა ხავერდისებრი ფრთების სიგრძეა 35-40 მმ. ფერი - მწვანე. შუაში აქვს გარდიგარდმო გადაჭიმული მოთეთრო ან კრემისფერი ზოლი და ასეთივე ფერის ცენტრ. წერტილი. ფრთის გარეთა კიდე მთავრდება მოიისფრო-მორუხო ბრტყელი სარტყლით. უკანა ფრთები წითურია და გარეთა კიდეზე მუქი-მწვანე ზოლი შეინიშნება. სხეული ხორციანია და შებუსვილი, ფერით - მუქი მწვანე; მოხატულია მოთეთრო ან კრემისფერი ზოლებით. პეპლის ფრთები და სხეული ქვედა მხრიდან ვარდისფერია. მშრალი ჰავის მოყვარული სახეობაა.

კ. ს. გავრცელებულია ბალკანეთის ტერიტორიაზე, თურქეთში, ირანში, ერაყში, ავღანეთში. ბინადრობს თურქენეთში, ტაჯიკეთსა და სამხრ. კავკასიაში (გვხვდება კ. ს-ის ადგილ. ქვესახეობა *Rethera komarovi rjabovi* O. Bang- Haas, 1935), კ. ს. ირანულ-ავღანური ნარმოშობის ამ გვარის ერთადერთი ნარმომადგენელია კავკასიაში.

ფრაგმენტულად გვხვდება საქართველოს სამხრ.-აღმ. ნანილში, მთასა და მთისწინეთის მშრალი ხეობების ქვა-ღორლიან ფერდობებზე. სახეობის რიცხოვნობა ამჟამად ძლიერ შეზღუდულია.

კ. ს. წელიწადში ერთ თაობას იძღვევა. ფრენს შუალამის შემდეგ, მთებში – კიდევ უფრო გვიან. მატლი ცხოვრობს რძიანაზე (Euphorbia), იქუპრებს ნიადაგში და იქვე იზამთრებს.

საქართველო ამ სახეობის გავრცელების უკიდურესი ჩრდილოეთია, რაც თავისთავად განსაზღვრავს მის სიმცირეს ქვეყანაში, მაგრამ არანაკლებ ძლიერია ანთროპოგენული ფაქტორის უარყოფითი ზეგავლენა (ტიპური ბიოტოპების მოშლა სხვადასხვა მიზნით ტერიტორიის გამოყენებისათვის, საქონლის გადაჯარბებული ძოვება და ა. შ.), რასაც თან სდევს ისედაც მცირერიცხვანი და ლოკალური პოპულაციების ზოგჯერ სრული განადგურება.

2006-იდან სახეობა შეტანილია საქართვ. „ნითელ ნუსხაში“.

ლიტ.: დ ი დ მ ა ნ ი ძ ე ე., საქართველოს პეპლები. ენდემური, რელიქტური და იმვიათი სახეობები (ქართულ და ინგლისურ ენებზე), თბ., 2005; დ ი დ მ ა ნ ი ძ ე ე. A., Чешуекрылье аридных ландшафтов Грузии (Lepidoptera, Heterocera), Тб., 1978; D i d m a n i d z e E., Georgian Biodiversity Country Study Report., Tb., 1996; R o m a n o f f M. N., Memoires sur les Lepidopteres, vol. 1-3, St.-Petersbourg, 1884-87.

ე. დიდაბიძე
